ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად! # 38 (10025) • 30 seqtemberi • 2013 w.

# ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

## საკრებულოს სხდომა შიდა დისკუსიებით

გაზეთი „ალიონი“



საკრებულოს 25 სექტემბრის სხდომას არ ესწრებოდა რამდენიმე დეპუტატი, რომლებიც აქტიურობით გამოირჩევიან, ამიტომ სხდომამ ძირითადად შიდა დისკუსიებით ჩაიარა. საკითხების უმრავლესობა განხილული იყო ბიუროსა და საზოგადოებრივი დარბაზის სხდომებზე, ამდენად მათი საკრებულოზე განხილვა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა.

საკრებულოზე მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების სამსახურის უფროსმა ამირან გირკელიძემ დამატებით საკითხად მუნიციპალიტეტის შესყიდვების 2013 წლის გეგმაში მორიგი ცვლილებები და დამატებები შემოიტანა.

ადგილობრივი ბიუჯეტით, მუნიციპალიტეტის ავტომანქანის შეკეთებისათვის 3 300 ლარი, ხოლო 1600 ლარით 8 ფოტოაპარატი უნდა შეეძინათ.

გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტით 1400 ლარით დააფინანსებენ სოფ. მაკვანეთის საბავშვო ბაღის შენობაზე მეტალოპლასმასის ფანჯრების მოწყობას, 5000 ლარს გადაიტანენ ქონების აუდიტორული შეფასების ხარჯში; სხვადასხვა ეკონომიის ხარჯზე ტვირთების გადაზიდვის ხარჯებს გაზრდიან 2500 ლარით და ხე-ტყის დამუშავების ხარჯს –4 500 ლარით.

ამ თემაზე საკმაოდ დიდი კამათი გაიმართა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილმა განმარტა, რომ შესყიდვების გეგმაში ცვლილებები ეყრდნობა ბიუჯეტს, და ჰაერზე ვერ მიიღებდნენ ამ ცვლილებას. რეზერვიდან თანხები უნდა დაიხარჯოს იმ მუხლებზე, რომლებიც არასაბიუჯეტოა.

მუნიციპალიტეტის გამგეობის „ნივის“ რემონტისთვის სარეზერვო ფონდიდან თანხის გახარჯვა უარყოფითად შეაფასა დეპუტატმა მიხეილ გოგოტიშვილმაც.

–სარეზერვო ფონდიდან მანქანის რემონტზე თანხების გაცემა არ უნდა ხდებოდეს–თქვა მან.

საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძემ ახსნა, თუ რა დატვირთვით მუშაობს გამგეობა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ და რომ ამან გამოიწვია ავტომანქანების რემონტის აუცილებლობა.

კენჭისყრისას ავთანდილ მევაბიშვილმა ხმა არ მისცა ბიუჯეტში ამ ცვლილებას.

ასევე კამათი მოჰყვა სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის დაფუძნების თაობაზე საკრებულოს განკარგულებაში შესატან ცვლიებებს და დამატებების განხილვას. ამ თემამ ბაღების გარშემო სხვადასხვა საკითხი წამოჭრა.

ავთანდილ მექვაბიშვილმა აქაც აღნიშნა, რომ ბევრი ბავშვი დარჩა ბაღს გარეთ.

–კიდევ ერთი ბაღი გავხსნათ–წამოაყენა წინადადება დეპუტატმა ლევან ნინიძემ.

–ახალ ბაღს ვერ გავხსნით, ძველში ჯგუფები უნდა გავზარდოთ– აღნიშნა დეპუტატმა თემურ მოქიამ.

დეპუტატ ირინა საჯაიას აზრით, არ შეიძლება თბილისის შესაძლებლობის მიხედვით რეგიონებზე ვიმსჯელოთ.

ავთანდილ მექვაბიშვილი: ქობულეთში არის 10 თუ 12 ბაღი და ყველა სტანდარტული. ჩვენ 38 ბაღი გვაქვს და უვარგისი...

დეპუტატ კახა ღლონტის აზრით, ბაღებში მიღება უნდა ხდებოდეს ტერიტორიული პრინციპით და ეს მოხსნის კონკრეტული ბაღებში რიცხოვნების შემცირებას.

სხვა საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძემ ისაუბრა ქ. თბილისში გამართულ „ექვთიმეობის“ შესახებ და ამ ღონისძიების ოზურგეთში გამართვის თაობაზეც.

ასევე ასურგულაძემ სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე გასამართ კონფერენციაზე ისაუბრა, რომელშიც სოფლის მეურნეობის პეციალისტებიც მიიღებენ მონაწილეობას და ამისთვის ბიუჯეტიდან 3500 ლარი ითხოვა.

–თუ სოფლის მეურნეობას ეშველება, დაჟანგული „ნივის“შესაკეთებლად ვიხდით 3 300 ლარს და ასეთი საქმისთვის როგორ არ უნდა გამოვყოთ–თქვა მექვაბიშვილმა

## როდის გაიმართება პრეზიდენტობის კანდიდატებთან შეხვედრები?

–დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ოზურგეთელ ამომრჩევლებს 4 ოქტომბერს შეხვდება– განაცხადა დაბა ლაითურში, ამომრჩევლებთან შეხვედრაზე შტაბის უფროსმა დავით დარჩიამ.

–„ერთიანი ნაციონალების კანდიდატი“ დავით ბაქრაძე გურიას 16 ოქტომბერს ეწვევა–გვითხრა შტაბის უფროსმა მიხეილ გოგოტიშვილმა.

ხოლო პრეზიდენტობის კანდიდატ ნინო ბურჯანაძესთან როდის გაიმართება მორიგი შეხვედრა ოზურგეთში, მის საარჩევნო შტაბს დაზუსტებული არ აქვს.

-რთული გრაფიკი აქვს, სავარაუდოდ არჩევნების დღის წინა პერიოდში გაიმართება-გვითხრეს მათ.

რაც შეეხება სხვა კანდიდატებს, მათი შეხვედრების შესახებ ოზურგეთში ინფორმაციას არ ვფლობთ.

## კომისიამ აქცენტი ძირითადად გამოცდილებაზე გააკეთა

გაზეთი „ალიონი“

**გვესაუბრება №60 ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზვიად თენიეშვილი;**



–№60 ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიაში გვაქვს 62 საარჩევნო უბანი. ყველა უბანი დაკომპლექტებულია და მუშაობს დილის 10 საათიდან 18 საათამდე.

ყველა უბანში გამოკრულია ამორჩევლთა სიები და ყველა ამომრჩეველს შეუძლია მიბრძანდეს და თავი გადაამოწმოს ამ სიაში. უბნებმა დაიწყო ამომრჩეველთა ბარათების დარიგება და იგი 7 ოქტომბერს დასრულდება. ამ ბარათში არის ამორჩევლის სახელი, გვარი, იმ უბნის დასახელება, მისამართი და როგორ უნდა მისცეს ხმა. თუ რომელიმე ამომრჩეველი უზუსტობას აღმოაჩენს ამომრჩევლის ბარათში, შეუძლია განცხადებით მიმართოს საუბნო-საარჩევნო კომისიას და გასწორებული იქნება ოლქის მიერ.

**–რა პრინციპით შეირჩა კადრები საუბნო-საარჩევნო კომისიებში?**

–კადრები კონკურსის წესით იქნა შერჩეული. შემოსული 816 განცხადებიდან შევარჩიეთ 372 ადამიანი. კომისიამ ძირითადი აქცენტი გამოცდილებაზე და ისეთ ადამიანებზე გააკეთა, რომელთაც წინა არჩევნების დროს არ ჰქონდა მიღებული შენიშვნა, გაფრთხილება და იყო კვალიფიციური.

**–და მაინც, საზოგადოებაში არის აზრი, რომ კომისიებში ძველი პარტიული კადრები დაინიშნა...**

–ყველა განცხადებამ საოლქო-საარჩევნო კომისიაში გაიარა დაწვრილებით. ეს ადამიანები წერდნენ ავტობიოგრაფიებს, რომლებიც ჩვენ დეტალურად განვიხილეთ. კომისიამ გამოცდილ კადრებზე გააკეთა აქცენტი, რომლებსაც, ვიმეორებ არ ჰქონდათ სასჯელი დადებული წინა არჩევნების დროს. რა თქმა უნდა, ისეთმა ადამიანებმაც შემოიტანეს განცხადებები, რომლებსაც შენიშვნა, ან გაფრთხილება ჰქონდათ მიღებული. ჩვენ მათი განცხადებები არ დავაკმაყოფილეთ. (2010 წელს 40 ადამიანს მიეცა შენიშვნა ან გაფრთხილება, ხოლო 2012 წელს–10-ს.)

**–რა ძირითადი შეზღუდვები აქვთ კომისიის წევრებს?**

–საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრები არიან საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები და მათ არ აქვთ უფლება მიიღონ აგიტაციაში მონაწილეობა, რომელიც კანონის შესაბამისად ისჯება.

**–ეს შეზღუდვები რამდენად ვრცელდება საჯარო მოხელეებზე?**

–მათ სამუშაო საათებში არ აქვთ აგიტაციის და შეხვედრებზე დასწრების უფლება.

**–რამდენი ამორჩეველი გვყავს ამჟამად?**

–64 161 ამომრჩეველი.

**–რომელი სიებით სარგებლობთ?**

–ძველი სიებით. შარშან 43 000 ამომრჩეველი მოვიდა, მაგრამ არ ყოფილა ფაქტი, სიაში ერთი ადამიანიც არ ყოფილიყო.

**–წინა არჩევნებში გარდაცვლილებიც იყო სიაში...**

–გარდაცვლილები ახლაც არის სიაში, მაგრმა ყველა უბანში არის განცხადების ფორმები. თუ სიაში არის გარდაცვლილები, შეივსება ეს ფორმები და მათ ცესკო სიიდან ამოიღებს.

**–რამდენადაა უბნები ნორმალური ბინებით უზრუნველყოფილნი?**

–რამდენიმე უბანზე გვაქვს ელექტროენერგიის პრობლემა. მე წერილობით მივმართე შესაბამის სამსახურებს და №39 ნაგომარში, №40 ქვ. ნატანებში, №37 ხვარბეთში ეს პრობლემა მოგვარდება. ხვარბეთის საარჩევნო უბანს ცუდი საბინაო პირობები აქვს, რაც შეიძლება ოლქიდან, დავეხმარებით.

## საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატები

მიხეილ სალუაშვილი
შალვა ნათელაშვილი
გიორგი მარგველაშვილი
ნესტან კირთაძე
გიორგი ლილუაშვილი
სერგო ჯავახიძე
ნინო ბურჯანაძე
ლევან ჩაჩუა
ავთანდილ მარგიანი
დავით ბაქრაძე
გიორგი თარგამაძე
კობა დავითაშვილი
ნუგზარ ავალიანი
ზურაბ ხარატიშვილი
თეიმურაზ მჟავია
გიორგი ჩიხლაძე
აკაკი ასათიანი
თეიმურაზ ბობოხიძე
ნინო ჭანიშვილი
ქართლოს ღარიბაშვილი
მამუკა ჭოხონელიძე
თამაზ ბიბილური
მამუკა მელიქიშვილი

## სად არიან გენიოსი ქალები

25 სექტემბერს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს 2013 წლის პროექტით „ვის ესინია ფემინიზმის“ რიგით მეოთხე შეხვედრა ეძღვნებოდა თემას „სად არიან გენიოსი ქალები“. თემაზე, რომელშიც შუა საუკუნეებიდან მოყოლებული XX საუკუნის ჩათვლით მოღვაწე ცნობილი, თუ ნაკლებად ცნობილი ევროპელი და მათ შორის ქართველი ქალები იყვნენ წარმოდგენილნი, ისაუბრა **დავით გაბუნიამ.**

– ქალის როლი ხელოვნების განვითარებაში მხოლოდ ხელოვანთა შთაგონების წყაროდ, მუზად მოიაზრებოდა. არადა წარმოუდგენელია ხელოვნების სხვადასხვა დარგი, მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა, ლიტერატურა, პუბლიცისტიკა ხელოვანი ქალების გარეშე. გამომსვლელმა არათუ ზოგადი საუბრებით, კონკრეტული მაგალითებით წარუდგინა ისინი საზოგადოებას და მათსავე მძიმე ხვედრზე გაამახვილა ყურადღება სწორედ იმიტომ, რომ ისინი ქალები იყვნენ და მაშინდელი საზოგადოებრივი აზრის გამო ვერ ახერხებდნენ, ან ძალიან უჭირდათ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის პოვნა.

შეხვედრის მეორე ნაწილი დიალოგის რეჟიმში წარიმართა და მსმენელთა მოწონებაც დაიმსახურა. ადგილობრივი ორგანიზატორი გახლდათ არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ (ხელმძღვანელი ქეთევან ხიდაშელი)

## 7 დღის ამინდის პროგნოზი



წვიმა
+12+20
30 სექტემბერი
ორშაბათი



წვიმა
+16+21
1 ოქტომბერი
სამშაბათი



მზე
+19+28
2 ოქტომბერი
ოთხშაბათი



მზე, ღრუბელი
+16+24
3 ოქტომბერი
ხუთშაბათი



მზე, ღრუბელი
+16+27
4 ოქტომბერი
პარასკევი



წვიმა
+11+18
5 ოქტომბერი
შაბათი



წვიმა,
+11+18
6 ოქტომბერი
კვირა

უფასო პოლიტიკური რეკლამა

# შეხვედრები წარსულის გახსენებების ფონზე

ნუგზარ ასათიანი



გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბმა დაბა ნარუჯასა და ლაითურში ორი შეხვედრა გამართა ამომრჩევლებთან. დაბა ნარუჯაში 80-მდე, ხოლო დაბა ლაითურში 60-მდე ამომრჩეველი მოვიდა.

თუ ამ ორი დაბის მდგომარეობას გადავხედავთ, ნარუჯელებს უკეთ აქვთ საქმე, ვიდრე ლაითურლებს. დაბა ნარუჯაში წყლის პრობლემა მოგვარებული იყო და როგორც ამ დაბის ყოფილმა რწმუნებულმა ვალოდი ბერიძემ თქვა, ეს გახდა მთავარი მიზეზი საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალებზე“ მიცემული ხმებისა.

თავად დაბაში შეხვედრას ოცნებაში „გადაპორტირებული“ არაერთი ნაციონალი ესწრებოდა. შეხვედრაზე საკმაოდ ბევრი ქალბატონი და ახალგაზრდა მოვიდა.

— წინა არჩევნებზე დაშინებები იყო. ხმას ამოიღებდი და სოციალურ დახმარებას მოგიხსნიდნენ. შარშან, „ქართული ოცნების“დეპუტატობის კანდიდატთან რომ იყო შეხვედრა დაბაში, ქალმა შიშისგან ფანჯარა ვერ გამოაღო, გამიგებენ და რაიმეს დამიშავებენო—თქვა შეხვედრაზე ნარუჯელმა ლევან შავაძემ.

—მიშა სააკაშვილი იყო „ნაციონალების“პრეზიდენტი, ხოლო გიორგი მარგველაშვილი იქნება ქართველი ხალხის პრეზიდენტი—თქვეს „ქართული ოცნების“ ადგილობრივმა ლიდერებმა.

—სახელმწიფო უნდა იყოს ძლიერი, თორემ ერთი კაცის სიმდიდრე ვერაფერს ვერ იზამს—ეს ნარუჯელმა თემურ ქარცივაძემ თქვა.

—საერთოდ, ლაითურში, ნარუჯაში, ნასაკირალში მცხოვრებ მოსახლეობას ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ხმა არსებული ხელისუფლების კანდიდატს მისცეს—აღნიშნა პირად საუბარში ვალოდი ბერიძემ. მთავარი პრობლემაც ერთი აქვთ—მიწების საკითხი....

* * *

ნარუჯა-ლაითურის გზაზე შეხვდებით წარწერას „ძროხის შესვლა არ შეიძლება—კერძო საკუთრებაა....“ ამ წარწერების ავტორი ფირმა „ვანრიკია,“ რომელიც მოცვის ბიზნესის გაფართოებას აპირებს და ბიზნესმენ გერმანე თალაკვაძისაგან 300 ჰექტარი ჩაის გაველურებული პლანტაცია შეისყიდა. ამ ორ დაბაში ასეულობით ჰექტარი ჩაის პლანტაცია აქვს შესყიდული კოკი ცეცხლაძეს და სხვა ბიზნესმენებს. მოცვის პლანტაციების საცდელი ნაკვეთები დაბა ნარუჯაშიცაა, მაგრამ ამ ფართობებს პრობლემები არ შეუქმნია ადგილობრივი მოსახლეობისათვის.



ლაითურლებმა აღნიშნეს ფირმა „ვანრიკის“ ხისტი მიდგომა ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებისადმი, რაზედაც გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბის თავმჯდომარე დავით დარჩიამ მოსახლეობას უთხრა, „ქართული ოცნების“ურყევი პოზიციაა კერძო ბიზნესისადმი მხარდაჭერა, მაგრამ ამ თემაზე იგი შეხვედრას გამართავს ბიზნესმენებთან.

შეხვედრაზე ლაითურის №6 რაიონში მცხოვრებმა ვახტანგ საგინაძემ განაცხადა, რომ ამ რაიონში მოსახლეობა არ იყო ინფორმირებული „ქართული ოცნების“ლიდერებთან შეხვედრის შესახებ, რაც გაზეთ „ალიონთან“ Oუარყვეს ამ რაიონის მცხოვრებლებმა ეთერ ბაკურაძემ, თამაზ ფუტკარაძემ, სალომე ბაკურაძემ, დოდო ფუტკარაძემ.

—ამ შეხვედრის შესახებ „ქართული ოცნების“ადგილობრივმა შტაბმა გაგვაფრთხილა. თავად ვახტანგი დაბის ბოლოში, ლაითური-ცეცხლაურის საზღვარზე ცხოვრობს. მან როგორ გაიგო?

—ჩვენმა წინაპრებმა ყველაფერ უბედურებას გადაგვარჩინეს და სისხლი და შვილები გაწირეს საქართველოსთვის —წერს ვახტანგ საგინაძე თავის წერილში, რომლის გადაცემასაც ხელისუფლებისათვის აპირებს და აღწერს დაბის პრობლემებს.

—მთავარი წყლის და მიწის პრობლემაა, შემდეგ გზა, ცეცხლაურთან დამაკავშირებელი ხიდი...

—წელს ოზურგეთი-ნარუჯა-ლაითურის დამაკავშირებელი გზის სამუშაოები შესრულდა. მომავალში ამ გზის შეკვეთილი-ქობულეთის ახალ ტრასასზე მიერთებაა გადაწყვეტილი. ლაითურიმერიის გზაზე მდინარე ნატანებზე ხიდის აღდგენისათვის სახელმწიფომ 3 მილიონი ლარი გამოყო—შეახსენა ლაითურლებს დავით დარჩიამ.

—კი ბატონო, მაგრამ ეგ ინვესტორები აღარსად არ გვიშვებენ, ფიჩხი რომ ავიღოთ. გაზი დაბაში შემოყვანილია და უბნებში შეყვანა არ ხდება, რომ ოჯახების გაზიფიცირება მოხდეს— თქვა თამაზ ჭყონიამ...

—სამწუხაროა, რომ წინა არჩევნები თქვენი მოსყიდვის ფონზე მიმდინარეობდა, „ნაციონალური ხელისუფლებისათვის“ დროზე რომ დაგეყენებიათ ეს თემები, დღეს ეს საუბრები ხომ არ იქნებოდა —თქვა „ქართული ოცნების“ადგილობრივმა ლიდერმა შოთა გოგიბერიძემ და ლაითურლებს ბიზნესმენებთან არა კონფლიქტი, არამედ მორიგება შესთავაზა.

ლაითურლებმა დიმა კვერღელიძესაც დაუსვეს კითხვები.

—ჩვენ არ გეუბნებით ვის უნდა მისცეთ ხმა, ჩვენ ჩვენ სამოქმედო პროგრამას გთავაზობთ. როცა ხელისუფლებაში მოვალთ, მაქსიმალურად ვეცდებით წინა ხელისუფლების მიერ დაბებში დატოვებული მძიმე მემკვიდრეობა გამოვასწოროთ—დაიმედეს ლაითურლები გიორგი მარგველაშვილის შტაბის წევრებმა.

გულმა არ მოუთმინა ერთ-ერთ ლაითურელს—იმედო შავაძეს და შეხვედრის დასრულების შემდეგ გვითხრა: —მართალი ხართ. წინა ხელისუფლებამ მოსყიდვით მოიგო ლაითურში არჩევნები. ყველა იღებდა ფულს და მე ხომ არ ვიტყოდი უარს. ჩემს ოჯახში 11 სრულწლოვანი ცხოვრობს. მოვიდნენ რამაზ ნიკოლაიშვილის შტაბის წევრები და 11 ხმაზე გაანგარიშებით 500 ლარი დაგვიტოვეს. ხალხმა ფული დახარჯა და ლაითური დარჩა ისე გაპარტახებული, როგორც წინა წლებში იყო....

# მდ. სკურის სანაპიროზე მოსახლეობას პრობლემა აქვს

გაზეთი „ალიონი“



ბოლო თვეებში მოჭარბებული ნალექი პრობლემებს უქმნის მოსახლეობას როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ქ. ოზურგეთში, 26 მაისის ქუჩა №2,4,6 მცხოვრები ჟუჟუნა კილაძის, ლია მელიქაძის და თემურ ბეგლარიშვილის ოჯახები შეწუხებულნი არიან მათ საცხოვრისში ყოველ გაწვიმებაზე დატბორვის გამო.

როგორც ქალბატონი ლია მელიქაძე ამბობს, მდინარე სკურაში უშვებენ დამატებით წყალს და ადიდებისას კალაპოტში წყლის სიმაღლე გაცილებით მაღალია, ვიდრე მათი ეზოებია და წყალსაწრეტი არხები წყალს აღარ ატარებენ, დაბრუნებული წყალი ჯერ ეზოებს ტბორავს, შემდეგ საცხოვრებელი სახლის პირველ სართულებს.

—წუხელ არ გვიძინია. მეც და ჩემი მეზობლები პირველ სართულზე წყალს ვებრძოდით. რამდენ ზარალს ვნახულობთ, ვერ წარმოიდგენთ—გვითხრა თემურ ბეგლარიშვილმა.

მათი თქმით, მათ ეზოებში თავს იყრის ქუჩის არხში მიმავალი ყველა წყალი...

ქალაქის რწმუნებულის ლევან მგელაძის თქმით, ხელისუფლებამ ამ უბნის გასაჭირი იცის, უნდა გამოინახოს რესურსი პრობლემის მოსაგვარებლად.

ასე გამოიყურებოდა ლია მელიქაძის სახლის პირველი სართული 25 სექტემბერს დილით...

# გულსისხლძარღვთა დაავადებების საერთაშორისო დღე აღნიშნეს



მსოფლიოში ყოველწლირად 17,3 მილიონი ადამიანი იღუპება კარდიოვასკალური დაავადებებით. ამ დაავადებებით შეიძლება დაავადდნენ ნებისმიერი ასაკისა და პოპულაციის ჯგუფი, ქალებისა და ბავშვების ჩათვლით. გულსისძლარღვთა დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის აცილება შესაძლებელია ჯანსაღი კვების, ფიზიკური აქტივობისა და თამბაქოს მოხმარების აღკვეთის ხელშეწყობით.

28 სექტემბერს გულსისხლძარღვთა დაავადების საერთაშორისო სოლიდარობის დღესთან დაკავშირებით გურიის ახალგაზრდულმა რესურსცენტრმა და მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლობამ ერთობლივი აქცია ჩაატარეს.

ქ. ოზურგეთის ცენტრში (შოთა რუსთაველის ქუჩა) ჩატარდა გარბენი, რომელშიც 30-მდე მოსწავლე იღებდა მონაწილეობას. გამარჯვებულებს და პრიზიორებს (ვაჟები: დავით კვანჭიანი, სერგო ხანჩალიანი, დიმა ჯაფარიძე: ქალები: ალიონა ტოლსტოვა, მარი და ნანა კეკელიძეები) მშვიდობის კორპუსის მოხალისე ბრიტნი კოვაჩმა ( აშშ, ოჰაიოს შტატი) თეთრი მაისურები და სერთიფიკატები გადასცა.

მოსწავლეთა გარბენს ოზურგეთის სპორტსკოლის მწვრთნელებმა უმსაჯეს.

# ჩვენი როენა ექიმი

ასე უშუალოდ და გულთბილად გამოხატავენ თავიანთ დიდ სიყვარულს და მადლიერებას ქალბატონი როენა ურუშაძისადმი თანასოფლელები, რომლებსაც 25 წელია უანგაროდ ემსახურება თავისი მაღალი პროფესიული ცოდნითა და გამოცდილებით. ლიხაური საკმაოდ დიდი და უმშვენიერესი სოფელია, აჭისწყლის ხეობაში ჩაფლული და ირგვლივ გორებითაა გარშემორტყმული, რითაც აქ მოყვანის დღიდანვე მოიხიბლა ქალბატონი როენა. მალე იგი მთელმა სოფელმა შეიყვარა და შეითვისა, როგორც დიდებული პიროვნება, რასაც უშუალოდ გამოხატავენ ამ მცირედი ფრაზით — ჩვენი როენა ექიმი.

რით დაიმსახურა ასეთი აღიარება? უპირველესად, თავისი პიროვნული და მაღალმორალური თვისებებით და აგრეთვე ღრმად განსწავლული პროფესიული ხელოვნებით. იშვიათია ადამიანური ღირსებისა და ცოდნა-გამოცდილების ასე შერწყმა-შეთავსება და ჰუმანური პრაქტიკით განხორციელება, რასაც როენა ექიმი სრულიად ბუნებრივად, მისთვის ნიშანდობლივად შესისხლხორცებული კეთილშობილებით ახორციელებს. ყოველი დღე მისთვის მრავალირცხოვან პაციენტთა ჩივილების გულდასმით მოსმენა, დაამება და შესაფერისი მსახურებაა. 25 წელია ქალბატონი როენა საოცარი ენერგიულობით,დიდსულოვნებითა და ხანგრძლივი გამოცდილებითი პრაქტიკით შეუმცდარად მკურნალობს და კარგ შედეგებსაც აღწევს. ყველაფერ ამას მაინც განაპირობებს მისი ზეღვთიური ალღო ჰუმანური დამოკიდებულებისა შეჭირვებულებისადმი და მათი ტკივილების კეთილი სიტყვით დასალბუნება.

იგი ასევე ღირსეული ქალბატონია, როგორც დედა, მეუღლე, ქართველი მანდილოსანი, თავისი გარეგნული ხიბლით, კეთილსახიერებით, შინაგანი ლმობიერებით.

მას ჰყავს მეუღლე, ორი შვილი. მისი ოჯახი გამორჩეულია, რომლის წარმმართველი და სულისჩამდგმელია მეუღლე თამაზ სალუქვაძე სახელმწიფო სამსახურებრივი საქმიანობით წარმატებული. ბატონი თამაზი მრავალმხრივი პიროვნებაა. იგი დიდიხანია კეთილსინდისიერად ასრულებს სხვადასხვა სამსახურებრივ მოვალეობას, ამავე დროს დაუზარელად გვერდით უდგას და დახმარებას უწევს ახლობლებს, მეგობრებს, თანამშრომლებს და ყველა მათ, ვინც მისგან თანადგომას საჭიროებს.

ამ წერილს ვწერ მე სრულიად კეთილსინდისიერად, ალალმართლად და დიდი მადლიერების გრძნობით, რომ ასეთი სანიმუშო ადამიანები ცხოვრობენ, მოღვაწეობენ და მრავალმხრივ კეთილმსახურებას უწევენ ქვეყანას, ხალხს. რაც მთავარია ლიხაურის მცხოვრებლებს, და თავიანთი სიწმინდით, სისპეტაკით, გონებრივი, თუ სულიერი შესაძლებობებით აშინაარსებენ, ალამაზებენ და ამდიდრებენ ადამიანებს, სოფელს, სამყაროს.

საპატიო პროფესორი
**ნათელა ჭახნაკია**

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

| № | დასახელება | მისამართი | მიწის ნაკვეთის ფართი მ² | ძირ. შენობის ფართი მ² | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) | "ბე" (ლარი) 30% | "ბიჯი" (ლარი) 5% | მონაწილის ბილეთის ფასი | მიწის სარეგისტრაციო ნომერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არასასოფლო-სამეურ-ნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქ.ოზურგეთი, მ.კოსტავას ქუჩა | 54 კვ.მ. | —— | 875 | 263 | 44 | 20 | 26.26.35.038 |
| 2 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქ. ოზურგეთი, მ. კოსტავას ქუჩა. | 125 კვ.მ. | —— | 1869 | 561 | 93 | 20 | 26.26.35.039 |
| 3 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქ. ოზურგეთი ნემიროვიჩ-დანჩენკოს ქუჩა | 2120 კვ.მ. | —— | 6428 | 1928 | 321 | 20 | 26.26.58.048 |
| 4 | შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ოზურგეთი, სოფ.ასკანა | 1716 კვ.მ. | 161 | 4369 | 1311 | 218 | 20 | 26.22.05.114 |
| 5 | შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ოზურგეთი, სოფ. გურიანთა | 44კვ.მ. | 18.9კვ.მ. | 619 | 186 | 31 | 20 | 26.06.25.026 |

| № | ქონების დასახელება | სახელმწიფო ნომერი | გამოშვების წელი | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) | "ბე" (ლარი) 30% | "ბიჯი" (ლარი) 5% | მონაწილის ბილეთის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მერსედეს-ბენცი ე-280 | GGG - 589 | 1993 | 2919 | 876 | 146 | 20 |
| 2 | ბმვ - 520 | OHO-828 | 1990 | 1319 | 396 | 66 | 20 |
| 3 | სახანძრო ავტომანქანა გაზ-66 | ———— | 1988 | 1119 | 336 | 56 | 20 |

## საუქციონო პირობები:

ა. საპრივატიზებო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან ოცდაათი (30) კალენდარული დღის ვადაში

საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმია:

ა. ვალდებულების აღება საუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე.
ბ. აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე მაღალი საფასურის შეთავაზება

## აუქციონში მონაწილეობა:

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%–ზე ნაკლებია.

## აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
2. „ბე"- ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
5. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
6. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)

— აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე მაღალი საფასურის შეთავაზება :\
— „ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი შეტანილი უნდა იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ა/ნ 300663205
— დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ კომისიაში"
მისამართი. ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
— აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე შაბათ–კვირის გარდა 2013 წლის 30 სექტემბრიდან 2013 წლის 15 ოქტომბრის 12 სთ-მდე.

**— აუქციონი ჩატარდება 2013 წლის 15 ოქტომბერს 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში.**

**— ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემი კომისია" ტელ: 895908977, 895305033, 895906305.**

(ფ)

# მარტოხელა დედები მეტად უნდა იყვნენ დაცულნი

ნია იაშვილი

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა შეხვედრა - ახალი საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ, რაც გულისხმობს მარტოხელა დედის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფას. შეხვედრას ახორციელებს ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი გაეროსთან ერთად. რეგიონული კოორდინატორი ელისო ჯანაშია და იურისტი მანანა ფურცხვანიძე ძალოვანი სტრუქტურების, სოციალური სამსახურისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს იმ პრობლემებზე ესაუბრნენ, რის წინაშეც ხშირად დგას მარტოხელა დედები და საზოგადოებას ერთიანი ძალისხმევისაკენ მოუწოდეს.

— არაერთი მძიმე ფაქტის შემსწრენი ვყოფილვართ, თუმცა ასეთი ფაქტები გაცილებით მეტია, ამიტომაც არის საჭირო მათი მეტი თანადგომა და დაცვა კანონმდებლობით — აღნიშნა ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის გურიის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **მაია ბერიძემ.**

იმავე დღიდან დაიწყო ხელმოწერების შეგროვება აღნიშნული ინიციატივის მხარდასაჭერად.

# „მერცხალის“ მთავარი მწვრთნელი გადადგა

ნუგზარ ოთარიშვილი



საქართველოს პირველობაზე პირველი ლიგის გუნდებს წარუმეტებელი სტარტის შემდეგ, (გუნდმა ზედიზედ 4 შეხვედრა წააგო) ოზურგეთის „მერცხალის“მთავარი მწვრთნელი სოსო გაგუა გადადგა. იგი გუნდის II მწვრთნელმა მერაბ ვანიძემ შეცვალა. გუშინ, 29 სექტემბერს გუნდის ხელმძღვანელებს შევხვდით:

**გია გოგუა,** *გუნდის უფროსი*: —4 ტურიდან სამი სტუმრად გავმართეთ. მე-4 ტურში თბილისში „გაგრას“ვეთამაშეთ. პირველი ტაიმი ფრედ 2:2 დასრულდა. პირველი ტაიმის მიწურულს ჯარიმა დაინიშნა. „გაგრაში“ მოთამაშე აფრიკელი ფეხბურთელი მოუტრიალდა ხომაშურიძეს და ხელი დაარტყა. ოზურგეთელმა სიტყვიერად უხეშად გამოხატა პროტესტი. ახალ ჩემპიონატში მსაჯობა გამკაცრებულია და მოედნის დატოვება ორთავეს მოუწია. თუ „გაგრას“ დიდად არ დატყობია აფრიკელი ფეხბურთელის დანაკლისი, ხომაშურიძის არყოფნა მოედანზე დიდად დაეტყო „მერცხალს,“თანდათან უპირატესობა მასპინძლების მხარეს გადავიდა და 2:5 დავმარცხდით...

**—გაზეთ „ალიონისთვის“ მიცემული ინტერვიუს შემდეგ გუნდის მთავარი მწვრთნელი სოსო გაგუა გაათავისუფლეთ...**

—არავინ არ გაგვითავისუფლებია. გუნდში თანამდებობრივი გადანაცვლება მოხდა. მთავარი მწვრთნელი აღარაა ბატონი სოსო. ისევე როგორც მერაბ ვანიძე ეხმარებოდა მას, როგორც მთავარ მწვრთნელს, ახლა ადგილები გაცვალეს. ეს თვად მანაც ისურვა, ერთად მუშაობენ.

**—ეს „გაგრასთან“შეხვედრამდე მოხდა?**

—ჰო, „გაგრასთან“ შეხვედრამდე, მაგრამ თბილისში გუნდის წაყვანა სოსოს მოუწია. ახლა გუნდი მერაბ ვანიძემ ჩაიბარა, გამოცდილი მწვრთნელები არიან, დიდი ხნის მეგობრები და ახლა ერთად მუშაობენ.

**—სოსო გაგუამ ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მენეჯმენტში შეცდომაა დაშვებული. არ მინდოდა 22 ფეხბურთელი. საკმარისი იყო 15 ფეხბურთელი და დაზოგილი თანხა სხვა მიმართულებით დაიხარჯებოდა....**

—ეს მისი გადასაწყვეტი იყო. მე, როგორც გუნდის უფროსი არაფერში არ ჩავრეულვარ. მე არც ფეხბურთელების მოყვანაში და არც გაშვებაში არ ვერევი მწვრთნელს. მენეჯმენტი მე არ შემიქმნია. მე დავინიშნე მარტის თვეში, როდესაც 2012 წლის დეკემბერში უკვე დამტკიცებული და გაწერილი იყო ბიუჯეტი. მე არც უფლება მქონდა და არც ჩავრეულვარ დამტკიცებულ ბიუჯეტში.

**—ეს ფეხბურთელები სოსო გაგუამ მოიყვანა?**

—არა, ეს ფეხბურთელები ძირითადად იყვნენ. გასინჯვაზე ვინც მოვიდა, მათ ვინც მოეწონათ დაიტოვეს. ამ ფეხბურთელის ხელფასიც მათი გადასაწყვეტი იყო...

ფეხბურთელი რომ ჩამოეყვანათ, ამის პირობები არ იყო. ჩამოყვანილ ფეხბურთელს ბინა, კვება სჭირდება. საერთო საცხოვრებელი დღეს მოუწყობელია... ადგილობრივი ხელისუფლება გვპირდება დახმარებას და იმედი გვაქვს რაღაც შეიცვლება.

**—სტადიონის დირექცია....**

—მურთაზ აბაშიძემ იდეალური წესრიგი დაამყარა სტადიონზე. ფეხბურთის მინდორი კარგ მდგომარეობაშია...

ჩვენს სტადიონზე სტუმრობისას „მერცხალის“ მწვრთნელები წალენჯიხის „სქურთან“ წინასამატჩო ვარჯიშს ატარებდნენ, ამიტომ **მერაბ ვანიძესთან** მხოლოდ „ბლიც“ინტერვიუ შედგა.

**—ბატონო მერაბ, გუნდის სტრატეგია ხომ არ შეგიცვლიათ?**

—არა, სტრატეგია რჩება იგივე, „მერცხალმა“ ადგილი შეინარჩუნოს პირველ ლიგაში...

მე 26 სექტემბერს დავინიშნე „მერცხალის“ მთავარ მწვრთნელად. ასე მცირე დროის მონაკვეთში ვერაფერს ვერ შევცვლიდი. ალბათ იქნება ფაქტორები, რაც გამოიწვევს გუნდში შიდაკორექტირებას.

**—ხომ არ აპირებთ გუნდის გაძლიერებას ახალი ფეხბურთელებით?**

—ეს თემა ჯერ-ჯერობით საუბრის დონეზეა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გვაქვს 30-კაციანი განაცხადი. გუნდში 8 ვაკანტური ადგილი გვაქვს და შეიძლება ამჟამად განაცხადში შევიყვანოთ ის ფეხბურთელი, რომელიც მომქმედი არაა.

**—რა შედეგს ელოდებით „სქურთან“ შეხვედრაში?**

—გუნდმა მაქსიმუმი უნდა გააკეთოს, რომ იყოს დადებითი შედეგი.

**—წარმატებებს გისურვებთ...**

# რაიონული პირველობის ფინალისტები გამოვლინდნენ

ტრადიციულად შემოდგომაზე გურიის მოჭადრაკეთა მორიგი ჩემპიონატი გაიმართება, რომელსაც წინ უძღვის მუნიციპალიტეტების ჩემპიონატები.

ოზურგეთში გასამართ ჩემპიონატში 8 მონაწილე რეიტინგის მიხედვით წინასწარაა შერჩეული, ხოლო საჭადრაკო კლუბში გამართულ ტურნირში 10 მოჭადრაკეს შორის კიდევ 4 მონაწილის ვინაობა უნდა გამოვლენილიყო.

8-8 ქულით I–II ადგილზე თორნიკე მახარაძე და ბეჟან ცეცხლაძე გავიდნენ; III—ჯემალ კეჭაყმაძე იყო, ხოლო IV—ანზორ ქუტიძე. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტული წესით ტურნირში წმ. ნინოს გიმნაზიის III კლასის მოსწავლე ლაზარე შანიძე მონაწილეობდა, რომელმაც აქ კარგი შედეგი აჩვენა

# რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში

ქ. ქობულეთში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის, სადაც ოზურგეთის სპორტსკოლის გუნდი მონაწილეობდა.

კარგად იასპარეზა 55 კგ. წონით კატეგორიაში თომა ჩხარტიშვილმა, რომელიც ფინალში გავიდა. მან II ადგილი დაიკავა. 46 კგ-ში IV იყო გიორგი ურუშაძე. (მწვ. დიმიტრი ტულუში, გოჩა ბურჭულაძე, დავით ჩიკაშუა).

# მურმან მდინარაძის ხსოვნის ტურნირზე



ოზურგეთელ პედაგოგთა მთელი პლეადა ოზურგეთის საზოგადოების ღირსეულ ნაწილს წარმოადგენდნენ. მათ შორის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი მურმან მდინარაძე. ბატონი მურმანი, გარდა იმისა, რომ კარგი ფიზიკოსი იყო, ასეთივე წარმატებით თამაშობდა ჭადრაკს, რაშიდაც ამ სკოლას კარგი ტრადიცია ჰქონდა. მისი უფროსი მეგობარი, გრიგოლ კალანდარიშვილი ჭადრაკის აღიარებული მეტრი იყო.

წინა კვირაში სკოლის დირექციამ მურმან მდინარაძის ხსოვნის ტურნირი ჩაატარა ჭადრაკში მოსწავლეთა შორის. ტურნირში 8 მონაწილე იყო. (მთავარი მსაჯი ელგუჯა ურუშაძე).

ტურნირი შვეიცარული სისტემით ჩატარდა და ამ სკოლის მოსწავლეებმა ოზურგეთის სპორტსკოლის აღიარებულმა მოჭადრაკეებმა VIII კლასელმა მიშიკო ქურიძემ და V-კლასელმა თორნიკე მახარაძემ თანაბარი ქულები დააგროვეს. დამატებით შეხვედრაში გამოცდილმა მიშიკო ქურიძემ იმარჯვა და ტურნირის გამარჯვებული გახდა.

ასევე დამატებით შეხვედრაში მოიპოვა III ადგილი ტურნირის ყველაზე პატარა მონაწილემ, წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიის III კლასის მოსწავლე ლაზარე შანიძემ.

გამარჯვებულები სკოლის დირექციამ თასით და სიგელებით დააჯილდოვა.

სკოლის ფიზიკური აღზრდის პედაგოგმა დიმიტრი ტულუშმა, (რომელიც ამ ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო) მადლობა გადაუხადა ოზურგეთის საჭადრაკო კლუბს კონსულტაციისათვის.

# დაბადების დღეს გილოცავთ გოჩა!



დაბადების დღეს გილოცავთ გოჩა, უშენოდ მოსულ ტკივილიან დაბადების დღეს.

ყვავილებით შეგიმკობთ საფლავს, ცრემლები იწვიმებს თვალებიდან, ცივი ქვიდან შენი სურათი სევდიანი თვალებით შემოგვხედავს, და დიდ ტკივილებთან ერთად დარდს დაგვიტოვებს, წარსულთან შეგახვედრებს, კიდევ ერთხელ გაგვახსენებს, როგორი კეთილი, გულიანი და უღალატო ადამიანი იყავი, სხვისი დარდის ტკივილის გამზიარებელი.

შემოდგომის დღეები უშენობას კიდევ უფრო გვაგრძნობინებს და ხმამაღლა გვათქმევინებს:

გვიყვარხარ ჩვენო საყვარელო გოჩა, გვიყვარხარ და გვენატრები უზომოდ...

დაბადების დღეს გილოცავთ გოჩა!

**ოჯახი.**

# ლეილა არობელიძე



მძიმედ ჩამოჰკრა გლოვის ზარმა დაბა ნარუჯის საჯარო სკოლაში. ძნელია ილაპარაკო შენზე, როგორც ჩვენგან წარსულზე.

თავზარდამცემი იყო შენი სიკვდილი ჩვენო ლამაზო, სულით მშვენიერო, მშვიდო და გამორჩეულო ქალბატონო ლალი არობელიძევ.

მაგრამ შეუცნობია გზა უფლისა...

სიკვდილმა კიდევ ერთი სიცოცხლე მიითვალა თავისად. ვიცოდით, დიდი ტკივილი გქონდა, მაგრამ არ გვეგონა, ასე სწრაფად თუ ჩაქრებოდა შენი სანთელი.

ყოველთვის უპრეტენზიო, გაწონასწორებული, საიმედო, ერთგული ადამიანი იყავი.

სიკვდილსაც უდრეკად და მშვიდად შეხვდი. ძალიან დააკლდი ჩვენს დიდ კოლექტივს.

შენმა ნაადრევმა წასვლამ ძველი იარა ისევ გაგვახსენა, რამდენიმე წლის წინ ჩვენი დირექტორის, შენი უმცროსი მეგობრის ბატონი გოჩა ცაგარეიშვილის სიკვდილმა რომ დაგვიტოვა.

გვწამს იმ ქვეყნად გაგყვება და სასუფეველს გაგინათებს ღირსეული ქართველქალობა.

ჩვენ, მეგობრები, კოლეგები, თანამშრომლები, აღზრდილები და აღსაზრდელები...ვილოცებთ შენი მშვენიერი სულის სადიდებლად.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

**სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნარუჯის საჯარო სკოლა;**
**საქართველოს განათლების და მეცნიერთა პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.**

გულსუნდა მახარაძე თანაუგრძნობს ნინო ლომთათიძეს, გია და შალვა ბაბილოძეებს **ნელი ჭანუყვაძე-დობორჯგინიძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
*რედაქტორი* ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru